აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 31

14 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. საარჩევნო ბიულეტენები იკინძება ბლოკნოტის სახით ას-ას ცალად.

მუხლი 2. ამომრჩეველს, რომელმაც არ გაიარა მარკირების პროცედურა უფლება არა აქვს მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა. მის სპეციალურ კონვერტს და ბიულეტენს/ბიულეტენებს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება."

მუხლი 3. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდითა და საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებზე ხელმომწერი კომისიის ორივე წევრის ხელმოწერით;

ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

გ) სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;

დ) სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშისა;

ე) საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;

ვ) საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისათვის.

ზ. სპეციალური კონვერტი დამოწმებული არ არის საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

მუხლი 4. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს განცხადება (საჩივარი), მოახდინოს სათანადო რეაგირება მასზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. თუ კომისიის თავმჯდომარემ არ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე (საჩივარზე) რეაგირებაზე, განმცხადებელს (მომჩივანს) უფლება აქვს იგივე განცხადება (საჩივარი) დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 5. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

მუხლი 6. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 7. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე